



## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№11335

01 / აგვისტო / 2019 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2019 წლის 1 აგვისტოს №01/26256 წერილით წარმოდგენილი „სლოვენის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან დაკავშირებით“ შეთანხმებისა და „სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების შესრულებაზე სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან დაკავშირებით“ ოქმის პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. შეთანხმების პროექტის სათაურსა და შემდგომ ტექსტშიც, სადაც საუბარია საქართველოს მოქალაქეთა („მიგრანტ მუშაკთა“) დასაქმებაზე, მიზანშეწონილია, დამატოს სიტყვა „დროებითი“. ეს განსაკუთრებით განპირობებულია მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პირობით, რასაც ადგენს წინამდებარე შეთანხმება.

ამასთან, შეთანხმების პროექტის ფარგლებში მიზანშეწონილია, განისაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა გამგზავრების წინასაორიენტაციო კურსის ჩატარების შესახებ პირობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მიმღები ქვეყანა.

ასევე, პროექტის ტექსტის ფარგლებში მიზანშეწონილია, მიეთითოს, რომ მხარეები დაიცავენ საქართველოს მოქალაქეთა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.

2. შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი ტექსტის ფარგლებში მითითება საქართველოს მოქალაქეებზე მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს ერთი ტერმინით – „მიგრანტი მუშაკები“ („the migrant workers“).

3. შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში მიზანშეწონილია, მიეთითოს, რომ წინამდებარე შეთანხმების მოქმედება, ასევე, არ გავრცელდება დასაქმების ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრებ პირებზე.

4. შეთანხმების პროექტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში კომისიის შეკრების ალტერნატიულ საშუალებად მიზანშეწონილია, განისაზღვროს ვიდეოკონფერენცია.

5. შეთანხმების პროექტის მე-9 მუხლთან მიმართებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის პოზიცია. ამასთან, შეთანხმების პროექტის მე-17 მუხლთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიცია.

6. რაც შეეხება, წარმოდგენილი შეთანხმების ოქმის პროექტს, მასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ მიზანშეწონილია, დამატებით განიმარტოს „PD-KTD” და „TUI-KTD” ფორმატების მნიშვნელობა; ასევე, ოქმის პროექტის ფარგლებში მითითება „პასპორტზე“ უნდა შეიცვალოს „ბიომეტრიულ პასპორტზე“ („Biometric Passport”) მითითებით.

ამასთან, აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც შეთანხმების, ისე მისი ოქმის პროექტების ქართულენოვანი თარგმანები საჭიროებს შინაარსობრივად და ტექნიკურად გამართვას (მათ შორის, ქართული ტექსტის ინგლისურენოვან ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანას), რათა თავიდან იქნეს აცილებული სამომავლოდ ამ დოკუმენტების არასწორი ან/და განსხვავებული ინტერპრეტაციები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამმდამსმულია  
ელექტრონულად



მიხეილ სარჯველაძე